პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 46 (13167) | ხუთშაბათი, 25 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს საბჭოთა საქართველოს 44 წელი შეუსრულდა მხურვალე სალამი საქართველოს მშრომელებს!

აყვავდი, საბჭოთა საქართველო!

გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ისევე როგორც ყოველი სხვა ხალხის ისტორიაში, არის დაუვიწყარი თარიღები. ზოგის მოგონება ტკივილს გვგვრის; თვალწინ წარმოგვიდგება დანგრეული და გაპარტახებული ჩვენი ქვეყანა, ქართველი მეომრების გაფფრთებული ბრძოლები უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სხვა თარიღების მოგონება გულს ალვსებს სითბოთი, სიხარულით, სიამაყით. ასეთ განსაკუთრებით სასიხარულო თარიღებს შორის არის 1921 წლის 25 თებერვალი, დღე, რომელმაც საქართველოს მოუტანა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერება. ეს არის დღე, როცა ქართველმა ხალხმა თავისი უძველესი მეგობრის — დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარა.

44 წელი გავიდა ამ სამახსოვრო დღიდან, და ქართველი ხალხი, განვლილ გზას რომ იგონებს, უდიდესი სიხარულით აღნიშნავს სახელოვან გამარჯვებებს, რომლებსაც მიაღწია კომუნიზმის შენებლობაში, აჯამებს იმ მუშაობის შედეგებს, რომლებიც ამ პერიოდში განახორციელა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მრავალგზის არის ნათქვამი, თუ რას მიაღწია საქართველომ დროის ამ მცირე მონაკვეთში. ქართველი ხალხის წარმატებებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, აგრარული განაპირა მხარე აყვავებულ რესპუბლიკად გადაქცია, რომელსაც აქვს მოწინავე მრეწველობა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა.

არ არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის არცერთი დარგი, რომელსაც ამ წლების მანძილზე ძირეული ცვლილებები არ განეცადოს.

მაგალითად, 1913 წელს საქართველოში იყო 200-მდე წვრილი, კუსტარული სამრეწველო საწარმო, სადაც მუშაობდა დაახლოებით 10 ათასი მუშა. გამომუშავებული იყო 20 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ამოღებული — 70 ათასი ტონა ქვანახშირი, გამოშვებული — რამდენიმე ათეული ათასი წყვილი ფეხსაცმელი, რამდენიმე ათეული ათასი მეტრი ქსოვილი და მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვა პროდუქცია.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ხალხთა ერთ-ერთ ძლავრი მძიმე ინდუსტრიის, დიდად განვითარებული მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის რესპუბლიკაა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, თბილისის ჩარხსამშენებლო და ელმავალსამშენებლო ქარხნები, ჭუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობსახდელი ქარხანა, აგრეთვე ასობით ქიმიური, ცემენტის, მანქანათსამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებელო, ჩაის, აბრეშუმსახვევი და აბრეშუმსაქსოვი, სამკერვალო, ბამბის, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, ღვინის, კონსერვებისა და ძმიმე, მსუბუქი, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის სხვა საწარმო.

ახლა რესპუბლიკაში ყოველდღე იმუშავებენ თითქმის იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც მთელ 1913 წელს.

ერთ სულ მოსახლეზე თუჯის გამოდნობის მხრივ საქართველომ გაუსწრო ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან იაპონია, იტალია და სხვები, ხოლო ფოლადს ადნობს მეტს, ვიდრე შვეიცარია, ნორვეგია და თურქეთი ერთად. რესპუბლიკაში იმუშავებენ 10-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე თურქეთში, რომლის ტერიტორია 11-ჯერ მეტია საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენი რესპუბლიკა ყოველწლიურად უშვებს 9 ათასზე მეტ სატვირთო ავტომანქანას, მილიონობით ტონა მანგანუმის მადანს, ქვანახშირს. მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრალური მძიმე ელმავლების წარმოება ჩვენში შედარებით ცოტა ხნის წინათ — 1958 წელს დაიწყო, საქართველომ ელმავლების წარმოების მხრივ საფრანგეთს გაუსწრო.

საქართველოში ყოველწლიურად აწარმოებენ 11 მილიონამდე წყვილ ფეხსაცმელს, — 55-ჯერ მეტს, ვიდრე 1927-1928 წლებში, 22 მილიონ მეტრზე მეტ აბრეშუმის ქსოვილებს, — 860-ჯერ მეტ, ვიდრე 1927-1928 წლებში, თითქმის 10 მილიონ ლიტრ ღვინოს, 200 მილიონზე მეტ ბირობით ქილა კონსერვს, 50 მილიონამდე მეტრ ბამბისა და 5 მილიონ მეტრზე მეტ შალის ქსოვილებს და სხვ. მრეწველობის ასეთმა განვითარებამ საშუალება მისცა საქართველოს აქ გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი გაგზავნოს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

ახლა საქართველოს სსრ მრეწველობის პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთის თითქმის 70 ქვეყანაში.

წლითიწლობით იზრდება საექსპორტო პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტი. საქართველოდან საზღვარგარეთ იგზავნება 200-ზე მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქცია.

საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ის უდიდესი ცვლილებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში; შეიქმნა სულ ახალი დარგები, რომლებიც გვაძლევენ სოფლის მეურნეობის ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიც არის: ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, დაფნის ფოთოლი, თამბაქო და სხვ. ახლა ჩაის პლანტაციებს უჭირავს 60 ათასამდე ჰექტარი ნაცვლად 1920 წლის 1000 ჰექტარისა, ციტრუსოვანთა პლანტაციებს— 10 ათას ჰექტარზე მეტი ნაცვლად 400 ჰექტარისა, ვენახების ფართობი შეადგენს 90 ათას ჰექტარზე მეტს ნაცვლად 36 ათასი ჰექტარისა და სხვ.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მეჩაიეებმა. მარტო შარშან მათ მოკრიფეს 184 ათასზე მეტი ტონა ჩაი, მაშინ როცა 1921 წელს ჩაის საერთო მოსავალი 550 ტონას შეადგენდა.

სერიოზული წარმატებები აქვთ ქართველ მევენახეებს, მეციტრუსეებს, მეთამბაქოეებს, მებაღეებს, მეცხოველეებსა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად აყვავდა ქართული ეროვნული კულტურა, რომელსაც მდიდარი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს. რესპუბლიკა დაიფარა სამკურნალო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხშირი ქსელით.

ახლა საქართველოში არის თითქმის 5 ათასი სასწავლებელი, რომლებშიც მილიონზე მეტი მოსწავლე სწავლობს. მათ შორის არის დაახლოებით 100 ტექნიკუმი და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებელი, 18 უმაღლესი სასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა, ტექნიკუმებმა და სხვა საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 400 ათასამდე სპეციალისტი. ყოველ 1.000 მცხოვრებზე საქართველოში მოდის 38 უმაღლესი განათლების და 315 საშუალო განათლების მქონე.

ქართული და მთელი საბჭოთა კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ ქართველ მწერლებს, პოეტებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, კინოს მუშაკებსა და ხელოვნების სხვა დარგების მუშაკებს, რომელთა ნაწარმოებებმა მტკიცედ დაიკავა ადგილი საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ბევრი ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრის მოწონება დაიმსახურეს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1966 წელს მოეწყოს გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი. ეს შესაძლებლობას მისცემს ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ერთხელ უჩვენოს მთელ მსოფლიოს არა მარტო რუსთაველის სიდიადე, არამედ ის უდიდესი წარმატებებიც, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თავისი ისტორიის, თავისი კულტურის შესწავლაში; უჩვენოს ქართული საბჭოთა კულტურის დიდი აყვავება.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გაწეულია უდიდესი მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ახლა ჩვენში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას ათასობით ექიმი — საშუალოდ ერთი ექიმი მოდის 300 მცხოვრებზე და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე ერთი სპეციალისტი 150 მცხოვრებზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 44 წლისთავის ზეიმის დღეს საქართველოს მშრომელები დიდ მუშაობას ეწევიან — ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, რაც 21 მარტს მოეწყობა.

გაჩაღებულია წინასაარჩევნო კამპანია. შეიქმნა საარჩევნო ოლქები, არჩეულია რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო, საოლქო, საუბნო კომისიები, მალე დამთავრდება დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. ათეულ ათასობით აგიტატორი აცნობს მოსახლეობას არჩევნების დებულებას, განუმარტავს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

სსრ კავშირის მოქალაქე დიდი ხანია დარწმუნდა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მთავარი საზრუნავი ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მისი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. საბჭოთა ადამიანმა იცის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოები იყვნენ სახალხო ხელისუფლების ორგანოები, პარტიის ყველა მითითების ერთგული განმახორციელებელნი, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მებრძოლნი. საბჭოები ყოველდღიურად წყვეტდნენ პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც შეეხებოდა ჩვენი მრავალმხრივი მჩქეფარე ცხოვრების ყველა რგოლს. საბჭოები კომუნისტთა პარტიასთან ერთად ამუშავებდნენ და ახორციელებდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაფართოების ღონისძიებებს. ჩვენი ქვეყნის თვითეული მოქალაქე საკუთარი თვალით დარწმუნდა, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა ხალხის კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში. მათი დახმარებით, მათი ინიციატივით ჩვენი რესპუბლიკის სოფლების მოსახლეობამ თავისი ძალებით, სახელმწიფო სახსრების დაუხარჯავად, ააგო ასობით სასკოლო შენობა, საავადმყოფო და ბიბლიოთეკა, კლუბი და სამკითხველო, აბანო და სასადილო, გაიყვანა ათასობით კილომეტრი ახალი გზები, დარგო მილიონობით ხე და ბუჩქი. დიდი მუშაობა გასწიეს და ეწევიან საბჭოები მოსახლეობის საბინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობა გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, უკანასკნელ წლებში მათზე, ისევე როგორც პარტიული ორგანოების მუშაობაზე, უარყოფითი გავლენა რომ არ მოეხდინა ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებას.

პრაქტიკით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგებია, რომლებიც წარმოადგენენ ერთიან სამეურნეო ორგანიზმს და მათი რაიმე ტერიტორიული დაყოფა და დანაწილება შეუწყნარებელია. ამან განსაკუთრებით ცუდი გავლენა მოახდინა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების მუშაობაზე, რომლებიც ფაქტიურად მოსწყდნენ ცხოვრებას, სამეურნეო მშენებლობას. ისინი ვერაფერს ვეღარ წყვეტდნენ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოთა რაღაც დანამატებად იქცნენ.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, და პარტიამ თავისი საფუძვლიანი სიტყვა თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 1964 წლის ნოემბერში გაიმართა.

მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის ქართველი ხალხიც, დიდი სიხარულით შეხვდა პარტიის ამ ბრძნულ გადაწყვეტილებას და ახლა დიდი ენთუზიაზმით ემზადება თავისი ხელისუფლების ორგანოების ახალი შემადგენლობის ასარჩევად. არავის ეშვი არ ეპარება, რომ ამ არჩევნებს, ისევე როგორც ყველა სხვა არჩევნებს, ქართველი ხალხი ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდება და სიხარულით მიხვიდეს ხმას კომუნისტთა და. უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, რითაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს თავის ერთიანობას და ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებას.

ქართველ ხალხს ახსოვს, რომ საბჭოთა კავშირის ძალა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობაა, და ყოველთვის განამტკიცებს და განავითარებს სამუდამოდ შედუღაბებულ ამ მეგობრობას. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, კომუნისტთა დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი კვლავაც დაუცხრომლად იშრომებს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შოთა რუსთაველის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენის თანახმად მიანიჭა შოთა რუსთაველის სახელობის 1965 წლის რესპუბლიკური პრემიები ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის:

1. ირაკლი გესარიონის-ძე აბაშიძეს — ლექსებისათვის „პალესტინა, პალესტინა“ (ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“).
2. ელგუჯა დავითის-ძე ამაშუკელს — ქანდაკებისათვის „ქართველის დედა“.
3. კონსტანტინე სიმონის-ძე გამსახურდიას — რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“.
4. ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს — უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებისათვის.

ი. აბაშიძე

ე. ამაშუკელი

კ. გამსახურდია



ვლ. გუდიაშვილი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომისა:

1. **ავალიანს** კორნელი ევსევის-ძეს — ვანის რაიონის სათაო პარკსაშრობის საკონტროლო ლაბორატორიის უფროსს.
2. **ასათიანს** გრიგოლ კირილეს-ძეს — პენსიონერს.
3. **ასლანაძეს** გრიგოლ ალექსანდრეს-ძეს — ქუთაისის სადრენაჟო ქარხნის საამქროს გამგეს.
4. **ბაგათელიას** შალვა ანდროს-ძეს — აფხაზეთის ასსრ მეგობრეშუმეობის რესპუბლიკური კანტორის მმართველს.
5. **ბაგრამიანს** ლევან ალექსანდრეს-ძეს — თელავის სადრენაჟო ქარხნის დირექტორს.
6. **ბაბასიანს** ერვანდ ამბარცუმის-ძეს — პენსიონერს.
7. **ბაზბას** აზიზ შაბანის-ძეს — გუდაუთის რაიონის სოფელ ააცის კოლმეურნეობის აგრონომს.
8. **ბერაძეს** კირილე დიმიტრის-ძეს — ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობის აგრონომს.
9. **ბერაძეს** პორფილე ილარიონის-ძეს — გალის რაიონის მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის აგრო-განყოფილების მმართველს.
10. **ბურჭულაძეს** შალვა კალენიკეს-ძეს — მახარაძის რაიონის სუბტროპიკული კულტურების სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგეს.
11. **გაბუნიას** ანდრო მელიტონის-ძეს — პენსიონერს.
12. **გიუნაშვილს** აბრამ სოლომონის-ძეს — პენსიონერს.
13. **გრძელიძეს** შალვა სარდიონის-ძეს — წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.
14. **გულოვს** მიხეილ სოკრატის-ძეს — მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარ აგრონომს.
15. **გუნჯუას** შალვა ავქსენტის-ძეს — გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს.
16. **დავითაშვილს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის გარეუბნის აგარაკების სამმართველოს აგრონომს.
17. **დოლიძეს** ბენიამინ გლახუნის-ძეს — გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 განყოფილების მმართველს.
18. **დოლიძეს** ნოე კირილეს-ძეს — მახარაძის რაიონის სათაო პარკსაშრობის აგრონომს.
19. **ემელიანოვს** ანატოლი პეტრეს-ძეს — პენსიონერს.
20. **თალაკვაძეს** ილია პეტრეს-ძეს — მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორს.
21. **თევზაძეს** ვლადიმერ ყარამანის-ძეს — ჩოხატაურის რაიონის სათაო პარკსაშრობის უფნის აგრონომს.
22. **თელიას** ალექსანდრე ეფთიმეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს ჩაის ტრესტის მთავარ აგრონომს.
23. **ივანიდისს** გიორგი პანაიოტის-ძეს — საგეგმო ეკონომიური ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.
24. **იმნაძეს** მელიტონ ლუკას-ძეს — ლანჩხუთის რაიონის ლანჩხუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
25. **იშხნელს** ვახტანგ აპოლონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობის რესპუბლიკური კანტორის მთავარ აგრონომს.
26. **კაკაბაძეს** გიორგი კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს ჩაის ტრესტის დამზადების განყოფილების უფროსს.
27. **კვატაშიძეს** სტეფანე დიმიტრის-ძეს — ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მთავარ აგრონომს.
28. **კლიმიაშვილს** გიორგი ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მთავარ აგრონომს.
29. **კუტალიას** ნაპოლეონ დათას-ძეს — ზუგდიდის რაიონის სათაო პარკსაშრობის უფროს აგრონომს.
30. **ლემონჯავას** შოთა ანტონის-ძეს — ცხაკაიის რაიონის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.
31. **ლეონიძეს** ვახტანგ იოსების-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს ჩაის ტრესტის ნედლეულისა და წარმოების კონტროლის განყოფილების უფროს აგრონომს.
32. **ლუკავას** ვარლამ გიორგის-ძეს — წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.
33. **მაგრაქველიძეს** სერგო სერგოს-ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეთესლეობის განყოფილების მთავარ აგრონომს.

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ვ. პ. მჭავანაძემ მიიღო ალჭირელი ჟურნალისტები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჭავანაძემ 23 თებერვალს მიიღო ალჟირელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც თბილისში იმყოფება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით ვ. პ. მჭავანაძე გულთბილად მიესალმა ალჟირელ ჟურნალისტებს და მათი სახით მთელ ალჟირელ ხალხს.

ვ. პ. მჭავანაძემ უპასუხა სტუმრების შეკითხვებზე და ესაუბრა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, ქართველი ხალხის წარმატებებზე კომუნისტურ მშენებლობაში, რომლებსაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიაღწიეს.

საუბრის დასასრულს ვ. პ. მჭავანაძემ სთხოვა სტუმრებს გულითადი სალამი გადასცენ ალჟირელ მშრომელებს და დიდი წარმატებანი უსურვა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

ღლითიდღე იზრდება და ლამაზდება ჩვენი დედაქალაქი თბილისი. შენდება მრავალსართულიანი სახლები, სკოლები, სბავშვო ბაღები, გაჩენილან ახალი მაგისტრალები.

ჩვენმა კორესპონდენტებმა ს. ბილაძემ და გ. გოგოხიამ გუშინ გადაიღეს ახალგაზრდა ამომრჩეველთა ეს ჯგუფი (მარცხნიდან) — ნ. კუკუტიშვილი, თ. ქარუმიძე, დ. ლომთათიძე და ს. გაგნიძე. ახალგაზრდები სიხარულით გასცქერიან მტკვრის დამშვენებულ სანაპიროს.



რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატები

დღეს, როდესაც ქართველი ხალხი ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისი სამუდამოდ განთავისუფლების ისტორიულ თარიღს დღესასწაულობს, ქვეყნდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალნიჭიერ გამოჩენილ მოღვაწეთათვის უკვდავი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების პირველად მინიჭების შესახებ.

ეს აქტი ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის აღმფრთოვანებელი, კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვის ჩვენი მხატვრული კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის, მისი სწორი, ჯანსაღი მიმართულებით განვითარებისათვის, მისი კიდევ უფრო ღრმად და ორგანულად დაკავშირებისათვის ჩვენს გმირულ თანამედროვეობასთან, საბჭოთა ხალხის ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის სინამდვილესთან. ჩვენი კლასიკური კულტურის სახელოვან ტრადიციებთან.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველი საუკეთესო ქმნილება ღრმად გამსჭვალულია თანამედროვეობის სუნთქვით, სიახლის გრძნობით, იგი ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალებით არის შთაგონებული და როგორიც უნდა იყოს მისი კონკრეტული თემატიკური საფუძველი, თავისი არსით, მთელი თავისი მიზანმისწრაფებით იგი საბჭოთა ხალხის აზრთა და გრძნობათა სამყაროს გამოხატავს, მის, საბრძოლო მისწრაფებათა და დიად საქმეთა მშვენებასა და ძალას უმღერის. უწინარეს ყოვლისა ამაში მდგომარეობს ჩვენი მხატვრული კულტურის ნოვატორული ხასიათი, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს ყოველგვარ სიახლეს მხატვრული მეტყველების სტილისა და ფორმის სფეროში. მაგრამ ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ეს მრავალმხრივი ნოვატორული მისწრაფება სრულიადაც არ ნიშნავს მათს მოწყვეტას და გამოთიშვას ეროვნული კლასიკური კულტურის ფესვებისა და ტრადიციებისაგან. პირიქით, საბჭოთა მხატვრული კულტურის ძალა, მისი განვითარების განუსაზღვრელი პერსპექტივები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთგულად აგრძელებს წარსულის კულტურულ მონაპოვართა საუკეთესო დემოკრატიულ, რეალისტურ და პატრიოტულ ტრადიციებს, რომლებსაც ავსებს და ამდიდრებს ჩვენი ეპოქის მაღალი იდეალებით, თანამედროვეობის მიერ წარმოშობილი ახალი თემებისა და სახეების სამყაროთი.

ჩვენი ეროვნული კულტურის ამ დიადი და გარდუვალი ტრადიციის უპირველესი შემქმნელი და ფუძემდებელი იყო. ქართველი ხალხის უდიდესი პოეტური გენია — შოთა რუსთაველი, რომელმაც საშუალოსაუუნებრივ მსოფლიოში ერთმა პირველთაგანმა წინათიგრძნო რენესანსის დიდებული ეპოქის ამობრწყინება, ძლევამოსილად აღმართა ჰუმანიზმის დროშა და თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ დღემდე მიუწვდომელი და ჯადაოსანი პოეტური სრულყოფილებით უმღერა სინათლის, სიკეთის, მშვენიერების, კაცთმოყვარეობის, გმირობისა და ვაჟკაცობის კეთილშობილურ გრძნობებს, პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის თავისუფლებისა და სამართლიანობის მაღალ იდეალებს.

შოთა რუსთაველმა უანდერძა შთამომავლობას ის გარდუვალი ჭეშმარიტება, რომ მხატვრული შემოქმედება სიბრძნის დარგია და, მაშასადამე ხალხის უმაღლეს აზრთა და გრძნობათა, ოცნებათა და მისწრაფებათა განსახიერებაა. მან მოგვცა უკვდავი მაგალითი მხატვრული აზროვნების ბრძნული სიღრმისა, ეპოქის ყველაზე პროგრესული იდეების ნიადაგზე დგომისა, ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებათა გამოხატვისა აღმაფრთოვანებელი ხელოვნებით აღბეჭდილ სრულყოფილ პოეტურ სახეებში. თავისი უდიდესი წინაპრის ეს ანდერძი და მაგალითი გაიზიარა ქართულმა კლასიკურმა მწერლობამ და სწორედ ამ გზით მოიპოვა მან ყველა უძვირფასესი შემოქმედებითი წარმატება, რომლებიც დღესაც ჩვენს ძვირფას ეროვნულ საუნჯეს შეადგენს და სიამაყით შეგვაქვს ჩვენი მოძმე ხალხებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის სულიერ ღირებულებათა საგანძურში. სწორედ ამ აზრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რუსთაველის ნაკვალევზე“ იზრდება და ვითარდება თანამედროვე ქართული მხატვრული კულტურაც. ამიტომ გამოიწვია ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ერთსულოვანი კმაყოფილება რუსთაველის სახელის მიკუთვნებამ იმ სახელმწიფო პრემიებისათვის, რომლებითაც ამიერიდან აღინიშნება ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ღირსული შემოქმედებითი მონაპოვარი.

დღეს ჩვენ უკვე გვყავს ამ დიდი ეროვნული პრემიის პირველი ლაურეატები, რომელთაც თავიანთ საუკეთესო მხატვრულ ქმნილებებში თანამედროვეობის მაღალი იდეური მისწრაფებანი და საბჭოთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დაუცხრომელი ნოვატორული ძიებანი საუცხოოდ შეათანხმეს ჩვენი ეროვნული კულტურის იმ სახელოვან ტრადიციასთან, რომელსაც მყარი, საუკუნეებში გამძლე და ურყევი საძირკველი ჩაუყარა უკვდავმა შოთა რუსთაველმა.

შორეულ საუკუნეთა წიაღში აღმოცენებულ კეთილშობილურ აზრთა და გრძნობათა სიახლოვე და ნათესაობა საბჭოთა ხალხის სულიერ სამყაროსთან ღრმად შთამბეჭდავი ძალით და მაღალი პოეტური ოსტატობით განასახიერა ირაკლი აბაშიძემ თავის შესანიშნავ ლირიკულ ციკლში „რუსთაველის ნაკვალევზე“ („პალესტინა, პალესტინა“), რომელმაც გამოქვეყნებისთანავე მოიხიბლა საყოველთაო მოწონება, აღიარება და ღირსეულად დაიჭიხსენა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე პოეზიას არაერთხელ მიუმართავს რუსთაველისა და მისი უკვნებელ ქმნილებებისათვის, როგორც პოეტური შთაგონების უშრეტი წყაროსათვის, მაგრამ სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა პოეტურ ნაწარმოებში ისეთი გზნებით და ცხოველი პოეტური ხილვით არ არის გაცოცხლებული გენიალური პოეტის ადამიანური სახე, ისე წრფელად განცდილი და ამაღელვებლად არ არის წარმოსახული მისი ბრძნული აზრებისა და მაღალი გრძნობების უმდიდრესი სამყარო, როგორც ეს ირაკლი აბაშიძის ლექსების დასახელებულ ციკლშია მოცემული.

პოეტის ლაღი და ფრთაასხმული ფანტაზია ამ ლექსებში უშუალოდ ამეტყველებს შორეული წარსულის უდიდეს მოაზროვნეს და პოეტს, მის პოეტურ მონოლოგებში გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სამყაროს განმსაზღვრელ ამ აზრებს, რომლებიც ღრმად პროგრესული იყო თავისი დროისათვის და დაუბერებელ აქტუალობას ინარჩუნებენ ჩვენი ეპოქისათვის. მაგრამ ერთმანეთისაგან საუკუნეთა მანძილით დაშორებულ ეპოქათა ასეთ დაახლოებაში არ იგრძნობა არავითარი ხელოვნურობა და ძალდატანება. პირიქით, საბჭოთა ადამიანისათვის შობილიერ და ახლოობენ, მის სულიერ ზრახვათა გამომთქმელ ჰანგებად ყღერს რუსთაველის ის „ხმები“, რომლებიც ადამიანის აზრის შეუბორკავეთ თავისუფლებას, სამშობლოსადმი და შშობლიური ენისადმი თავგანწირულ სიყვარულსა და ერთგულებას, ამამაღლებელი სიყვარულის, სიკეთის, მშვენიერებისა და ზნეობრივი სისპეტაკის ზეიმს ღაღადებენ.

თავისი რთული მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად ირაკლი აბაშიძემ მოძებნა პოეტური მეტყველების ისეთი ფორმა, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ღრმად თანამედროვეა, შეესაბამება დღევანდელი პოეტური კულტურის მისწრაფებას ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმად წვდომისა და გამომსახველობით საშუალებათა გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისაკენ, და ამავე დროს ინარჩუნებს პოეტურ სახეთა კლასიკურ სინათლეს და სიცხადეს, პოეტური მუსიკის ისეთ კეთილხმოვანებას და მელოდიურობას, რაც ჩვენი კლასიკური რეალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს ახასიათებდა.

ამ ლექსების ემოციური ზემოქმედების ძალა სავსებით შეესაბამება მათში განსახიერებული იდეების სიღრმესა და ცხოველმყოფელობას. ამიტომაც ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ირაკლი აბაშიძის ეს წიგნი უკანასკნელი წლების ქართული პოეზიის საუკეთესო მიღწევად შეაფასა. სასიხარულოა, რომ ეს აზრი ახლა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი აღიარებით არის დადასტურებული.

არ შეიძლება საყოველთაო კმაყოფილება არ გამოიწვიოს მეკითხველთა ფართო ფენებში ჩვენი საუკუნის მხატვრული პროზის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატის, დიდად ღვაწლმოსილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასათვის რუსთაველის სახელობის პრემიის მიკუთვნებამ. მხატვრული სიტყვის ამ შესანიშნავი ხელოვანის სახელთან განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენება-განვითარების მთელი, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, ლიტერატურულ პოზიციათა, გემოვნებათა, თვალსაზრისთა მწვავე შეჯახებანი, რომელთა ვითარებაში გზას იკვლევდა და ყალიბდებოდა თანამედროვე ქართული მწერლობა, მკვიდრდებოდა მისი საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციები.

საბჭოთა ეპოქის დიადი გარდამქმნელი და განმაახლებელი ძალა გამოხატა და ჩვენი ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირობას და ქედუხრელ შემართებას შთაგონებულად უმღერა კონსტანტინე გამსახურდიამ ჩვენი თანამედროვეობისადმი მიძღვნილ თავის შესანიშნავ რომანებში „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“.

ორივე ამ წიგნში მწერალმა დიდი მხატვრული ძალით, შთამბეჭდავად და დამარწმუნებლად გვიჩვენა, თუ როგორი ისტორიული კანონზომიერებით იმსხვრევა ძველი, რეაქციული სამყარო და ილუპებიან მისი უკანასკნელი გადმონაშთები ჩვენს ნათელ საბჭოთა სინამდვილეში, თუ როგორი ძლევამოსილებით იწრთობა და იპყრობა ამ მწვავე ისტორიულ კონფლიქტებში ხასიათი და ნებისყოფა ახალი ადამიანებისა, რომლებიც თავდადებულად აშენებენ ახალ, დედამიწაზე ყველაზე ჰუმანურ და სამართლიან ცხოვრებას და თავიანთი მკერდით იცავენ მას ყველა ჯურის მტრებისა და მოწინააღმდეგეებისაგან.

ეს წიგნები შემოქმედებითი შრომის ძალასა და მშვენებას, ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის წარმოებულ ბრძოლას, სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს, გმირობასა და ვაჟკაცობას უმღერის. ამავე კეთილშობილური გრძნობებით არის გამსჭვალული და შთაგონებული კ. გამსახურდიას ისტორიული რომანებიც, საქვეყნოდ ცნობილი და სახელშოხვეჭილი „დიდოსტატის მარჯვენა“ და ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომელმაც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

თავის ამ უფართოეს მხატვრულ ტილოში მწერალმა ვეშმარიტი პატრიოტული გზნებით წარმოსახა საქართველოს ისტორიული წარსულის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ეპოქა და მოგვითხრო ჩვენი ეროვნული ისტორიის უდიდესი გმირის, დავით აღმაშენებლის გმირული ბრძოლებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დიდებული ეპოპეა, რომელმაც უშუალოდ შეამზადა ძველი საქართველოს „ოქროს ხანა“ — თამარის უდიდეს ცენტრში — პარიზში, მაგრამ იგი მაინც ერთგული დარჩა იმ დიდი წარუშლელი შთაგონებისა, რომელიც მან მიიღო მშობლიური ხელოვნების შორეული სათავეებისაგან, ქართული კედლის მხატვრობის, ჩვენი ფრესკებისა და მინიატურების დიდებული უსახელო ოსტატებისაგან.

ლადო გუდიაშვილისათვის რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება იმის ცოცხალ მოწმეა, რომ ამ ნიჭიერ ადამიანს, თუ რამდენად დაირღვა უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხელოვნების განვითარების შემაწყლდველი და შემაფერხებელი დოგმატური და მედავითნური ცრურწმენანი, რამდენად გამდიდრდა და გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენა საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზებისა და შესაძლებლობებზე.

საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მამოძრავებელი შემოქმედებითი მაღლები თაობათა მომბიბვლელ ჰარმონიას შეადგენენ. ამის შესანიშნავი მაგალითია ის გარემოება, რომ რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატთა შორის ჩვენი მხატვრული კულტურის ღვაწლმოსილ ოსტატთა გვერდით ვხედავთ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მაღალნიჭიერ წარმომადგენელს, მოქანდაკე ელენეზა ამაშუკელს. მისი სახით მაღალი ეროვნული პრემია მიიღო ჩვენმა ახალგაზრდა შემოქმედმა ინტელიგენციამ, რომელმაც უკვე თვალსაჩინო და სპპატიო ადგილი დაიკავიდრა ჩვენი ხელოვნებისა და მწერლობის ყოველ დარგში და რომლის გაუთავლისწინებლადაც ახლა უკვე შეუძლებელია მსჯელობა თანამედროვე ქართულ კულტურაზე.

ელენეზა ამაშუკელის ქმნილება „ძართველის დედა“, რომლისთვისაც ავტორს რუსთაველის პრემია მიენიჭა, ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური აზრით შთაგონებული მაღალმხატვრული ქმნილებაა. იგი არა მარტო ჩვენი მარად დაუბერებელი დედაქალაქის ღირსეული ემბლემაა, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებათა — მისი გმირობისა და ვაჟკაცობის, პატრიოტული შემართების, სიკეთისა და სტუმართმოყვარეობის დიდებული გამოხატულებაც.

ელენეზა ამაშუკელის გამარჯვება ამ დიდ შემოქმედებითს შეჯიბრში კარგი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდა მხატვრული ინტელიგენციისათვის. ხალხი დაიფასებს და შეიყვარებს მხოლოდ ისეთ შემოქმედებითს ძიებებს, სიახლეებს, ორიგინალურ მიგნებებსა და აღმოჩენებს, რომლებიც შთაგონებული იქნება მაღალი იდეური შინაარსით, კეთილშობილური ადამიანური აზრებითა და გრძნობებით.

სულით და გულით ვუღოცავთ და მივესალმებით რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატებს. დაიწყო დიდი შემოქმედებითი შეჯიბრი ქართული მწერლობისა და ხელოვნების ახალი, მძლავრი აღმავლობისათვის. უეჭველია, რომ ამ შეჯიბრში გამარჯვებულთა რიგებში უახლოეს მომავალში ვიხილავთ არა მარტო მხატვრული სიტყვისა და სახეთი ხელოვნების ოსტატებს, არამედ ჩვენი მუსიკალური ხელოვნების, დრამატული თეატრისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეებსაც, რომლებიც თავიანთი ახალი ქმნილებებით დიდ შემოქმედებითს სიხარულს მიანიჭებენ ჩვენს ხალხს.

რუსთაველის ნაკვალევზე აღიზრდებიან და დაოსტატდებიან მაღალნიჭიერ ხელოვანთა ახალი და ახალი თაობები, რომლებიც ჩვენი კულტურის ღვაწლმოსილ ოსტატებთან ერთად წარმატებით გასცემენ პასუხს ჩვენი ეპოქის მაღალ მოთხოვნებსა და ამოცანებს.

ბესარიონ ჟღენტი.

ორი არსენას სამშობლოში

მარაბდა და ალგეთი! როცა საქართველოს ამ შესანიშნავ ორ კუთხეს ახსენებ, არ შეიძლება არ მოგაგონდეს ორი არსენა — ოძელაშვილი და ჯორჯიაშვილი. „სამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ამ ორი გმირი პატრიოტის სახელს სიყვარულით და პატივისცემით ინახავენ გულში თანასწორულები.

მარაბდიდან სოფელ ჯორჯიაშვილამდე ოცი კილომეტრია. ჩვენც აქედან ჯორჯიაშვილისკენ ავიღეთ გეზი. კოდა... ასურეთი... ეი ჯორჯიაშვილიც. სოფლის შუაგულში მეზობარე რევოლუციონერის არსენა ჯორჯიაშვილის ძეგლი აღუმართავთ. აქაურ პიონერებს ყვავილებით მოურთავთ მონუმენტი. კოლმეურნეობის კანტორა, სოფლის საბჭოს აღმასკომი, კლუბი, მაღაზიები ამ პატარა მოედანზეა მოთავსებული.

ზამთრის ამ დღეებშიც სოფელში უჩვეულო გამოცოცხლებაა. შრომისმოყვარე ადამიანები ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. აქ უკვე კარგა ხანია დამთავრდა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი. მექანიზატორები ერთხელ კიდევ ამოწმებენ რემონტის ხარისხს, დახარისხებული და კონდიციამდეა აყვანილი თესლი.

ერთი წუთითაც არა აქვს მოცლა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შალვა ბექაურს. როგორც იტყვიან, ჯარასავით ტრიალებს. ყველგან და ყველაფერში ჩანს მისი ხელი. კოლმეურნეობის თავკაცის მოკლე, კონკრეტული, ოპერატიული განკარგულებები კარზე მომდგარი გაზაფხულის შესახვედრად — სწრაფად, უხმაუროდ სრულდება.

გულით შეიყვარეს ჯორჯიაშვილემ კოლმეურნეებმა თავიანთი ხელმძღვანელი. როგორც სოფელში ამბობენ, „იგი სიტყვას ბანზე არ ისვრის, იტყვის და გააკეთებს კიდეც“. ასე აფასებენ მას პარტიის თეთრიწყაროს რაიონულ კომიტეტშიც — „რაც ამ ჩამორჩენილ კოლმეურნეობას შალვა ბექაური ჩაუდგა სათავეში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა“. ეი მისი მოკლე, მაგრამ ბეჭრისმთქმელი დახასიათება. ეს მართლაც ასეა.

შალვა ბექაური ჯორჯიაშვილემ კოლმეურნეებმა თავიანთ თავკაცად სულ ხუთიოდე წლის წინათ აირჩიეს. მაშინ მას კრებისათვის საზეიმო პირობა არ მიუცია. თანამოსაქმეებს მოკლედ და ძუწწად უთხრა. — როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მდგომარეობა არასახარბიელოა, წვეულადობა ჩამორჩება. ბოსლები უვარგისია. არ სრულდება მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმები. ბაღები მოუვლელი და გაპარტახებულია. წინ ძნელი გზაა. ბევრი დაბრკოლებაა გადასალახავი. კარგად იცით, ცალი ხელით ტაში არ დაიკვრება. ყველა ერთსულოვნად უნდა დავირაზმოთ ახალი ზეწედების ასაღებად. ეს იყო და ეს.

მთელი სოფელი დაირაზმა. დაიწყო სახალხო ლაშქრობა მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მაღე ფარღალალა ბოსლების ნაცვლად ფერმის ტიპური სადგომები წამოიმართა. ჯორჯიაშვილელ კოლმეურნეებში მომავალი გამარჯვების რწმენის პირველი ნაპერწკალი აინთო.

— სიტყვის კაცი ჩანს, — ალაპარაკდა ისევ სოფელი, და გულით მიენდვნენ თავმჯდომარის ავტორიტეტულ სიტყვას.

თავმჯდომარის სამახსოვრო უბის წიგნაკში გაჩნდა ჩანაწერები, ციფრები, შენიშვნები, ჩანახაზები. ციფრების ქვეშ მინაწერებია — „რა მდგომარეობაა“, „რა უნდა გაკეთდეს“. ასე დაიწყო ბრძოლა ახალი რეზერვების ასამოქმედებლად.

ადრე კოლმეურნეობა მევენახეობას სრულიად არ მისდევდა, ცოტა მოჰყავდათ ხილიც. უკანასკნელ წლებში ჯორჯიაშვილელმა კოლმეურნეებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ზვრებისა და ბაღების გაშენებას. აქ ისეთივე ჰაეროვანი და არომატული ღვინო დგება, როგორიც ასურეთული ვარდისფერია. წელს კიდევ 10 ჰექტარზე გააშენებენ ახალ ვენახს. ახლო მომავალში ხეხილის ახალ ბაღებს 22 ჰექტარზე გააშენებენ. ასე დამკვიდრდა ... გაიხარა მთის სოფელში ზვრებმა და ბაღებმა.

შარშან ჯორჯიაშვილელმა კოლმეურნეებმა დედა-სამშობლოს 322-ის ნაცვლად 326 ტონა მარცვლეული, 20-ის ნაცვლად 52 ტონა კარტოფილი, 256-ის ნაცვლად 261 ტონა რძე, 56-ის ნაცვლად 67 ტონა ხორცი მისცეს. მაგრამ შრომისმოყვარე ჯორჯიაშვილელი სოფლის მშრომელებისათვის ეს ზღვარი როდია. წელს გაცილებით მეტი ვალდებულებები აიღეს. აქ მტკიცედ დამკვიდრდა კომუნისტური შრომის პრინციპი: სიტყვა მიეცი — შეასრულე, ვალდებულება იკისრე — გაანადგე. მტკიცე ეკონომიურმა საფუძველმა კოლმეურნეობას საშუალება მისცა გადასულიყო ყოველთვიურ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე. უკანასკნელ პერიოდში ფართოდ დაინერგა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი. შარშან პრემიის სახით გაიცა 210 ტონა მარცვლეული, 10 ტონა ბოსტნეული, 10 ტონა ხილი და 4 ტონა რძე.

ოქროს ხანა

საქართველოს გაგაუხელი

თენდება, გვირგვინს იდგამენ მთები,
ველებზე შუქი იღვრება უხვად,
მძლედ გაუშლიათ არწივებს ფრთები
და საქართველოს დიდებას ჰქუხან.

მოუტაცნია სიმღერა არაგვს,
ნაპირებს ცვარ-ნამს იებად ესვრის,
ხეები ხვამენ თებერვლის ბადაგს
და თრთის სიმივით მიწაში ფესვი.

დაუსაბამო ცა არის სუფთა,
ცა არის ლურჯი, წყნარი და ღია
და გაზაფხულის პირველი სუნთქვა
კარდაკარ დაჰქეს დროშების ნიავს.

ერთიან იწვის ლერწამის ღერი,
გარშემო ჰანგებს ჰანგებზე აფენს,
დიდი სიცოცხლის მოცურავს გემი
და ცად მოარწევს მშვიდობის აფრებს.

რა ურიამულით ივსება სივრცე,
იცლება გული სიმღერად, ლექსად...
მზე გუთანივით მოჰყვება მინდრებს
და თებერვალი გაზაფხულს თესავს.

ვახტანგ გორგანელი.

საქართველოს მეგაფხელი

ორმოცდაოთხი წლის საბჭოთა საქართველოს მსუბუქი ინდუსტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საწარმოდ არის მიჩნეული თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი.

კომბინატის საწარმოები აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით, მუშაობენ სრული დატვირთვით და წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმას. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის იანვრის საწარმოო დავალება მეტრიკოტაჟეთა ამ მოწინავე კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით — 110,4 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით 155 ათასი მანეთის ნაწარმი გამოუშვა.

დიდ მონდომებას და ენერგიას იჩენს კომბინატის კოლექტივი ტრიკოტაჟის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: ხაქსოვი ხაამქროს ტექნოლოგი ციალა მამულაშვილი (მარცხნივ) და ცვლის უფროსი მ. მიქაუტაძე ამოწმებენ ახლადმოქსოვილი თეთრი ტრიკოტაჟის სიფაფუქეს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



რევოლუციის ჯარისკაცები

სვეგდნიერი ქართველი ხალხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეორმოცე გაზაფხულს ზეიმობდა. გაზეთები ძველ ბოლშევიკთა დაჯილდოებას იუწყებოდნენ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 10 მაისის ბრძანებულებით საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ იასონ, ბაგრატ და ვასილ დიმიტრის-ძე ხვედელიძეები.

ეს ჯილდო მათ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ნაყოფიერი მუშაობით დაიმსახურეს.

ბეერმა მკითხველმა ალბათ მაშინაც შეამჩნია, რომ ხვედელიძეები ძმები იყვნენ. მაგრამ ეს ცოტაა. სამივე ძმა ყოფილი მაღაროელები არიან. ბოლშევიკურ პარტიაში სამივე 1918 წელს შეევიდა. სამივე იარაღით ებრძოდა ქართველი ხალხის მუხანათ მტრებს — მენშევიკებს. სამივე მონაწილეა საჩხერის 1918 წლის აჯანყებისა მენშევიკების წინააღმდეგ. სამივე პერსონალური პენსიონერია.

მათ მეოთხე, უმცროსი ძმაც ჰყავთ — ივანე. ასაკის გამო იგი შედარებით გვიან შევიდა კომუნისტურ პარტიაში, თუმცა აჯანყებულ გლეხებს ივანეც აქტიურად ეხმარებოდა. მან მაღაროებში პატიოსანი და უმწიკლო შრომით ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და ორი მედალი დაიმსახურა. ივანეშვილ სამოც წელს გადაბიჯა, უკვე პენსიაზეა და სოფლად შრომობს...

საჩხერეში არის მთიანი სოფელი ცხამი. აქ დიმიტრი და ნინო ხვედელიძეების ოჯახი გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. მათ შეეძინათ ოთხი შვილი — იასონი, ბაგრატი, ვასილი და ივანე...

ძმები ხვედელიძეები ერთობ ჯანმაგარი, გამრჯე, დაუზარელი და გამბედავნი იყვნენ. წამოიზარდნენ ბიჭები და გვერდში ამოუდგნენ მამას.

1903 წელს — გარდაიცვალა ოჯახის ბურჯი — დიმიტრი.

დაობლდა ოჯახი, მაგრამ მას ვაჟკაცურად გაუძღვა დედა. მან ყველაფერი იღონა და შვილებს ჩაუნერგა კეთილშობილური თვისებები. იგი ნამდვილი ქართველი დედის განსახიერება იყო...

ხელმოკლე ოჯახის უფროსმა შვილმა ჭიათურას მიაშურა. პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში იასონი თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო და აქტიურად მონაწილეობდა მაღაროელთა გაფიცვებში. შემდეგში ჭიათურას ესტუმრნენ. იასონის ძმებიც.

1915 წელს ბაგრატი ჯარში გაიწვიეს და მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ მშობლიურ სოფელში ბრუნდება და ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებთან — ს. აბრამიშვილთან, გ. კილაძესთან და სხვებთან ერთად გლეხებში აჩაღებს აქტიურ რევოლუციურ მუშაობას, ამზადებს მენშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას... კრებულში „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში“ ვკითხულობთ:

„ბ. ხვედელიძე 1918 წლის ივნისში საჩხერის რაიონში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მომხდარი გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელია. იგი სათავეში ედგა სამხედრო-რევოლუციურ შტაბს, რომელიც ენერგიულად ხელმძღვანელობდა აჯანყების მომზადებისა და ჩატარების საქმეს.

1918 წლის 28 ივნისს სამხედრო-რევოლუციური შტაბის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით აჯანყებულებმა სამი მხრიდან დაიწყეს საჩხერეზე შეტევა, ალყა შემოარტყეს და მწვავე ბრძოლის შემდეგ აიღეს იგი. საჩხერეში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა დაუყოვნებლივ გადასცემოდათ მიწა გლეხებს, გაუქმებულიყო ხელისუფლების მენშევიკური ორგანოები.

მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად საჩხერის რაიონში სასწრაფოდ გაგზავნა არტილერიითა და კავალერიით გაძლიერებული დამსჯელი რაზმი. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა აჯანყებულებსა და მენშევიკების შეიარაღებულ ძალებს შორის, და თუმცა 30 ივნისს მენშევიკების შეიარაღებულმა ძალებმა საჩხერე აიღეს, ბრძოლა კიდევ ორ კვირას გაგრძელდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რეპრესიები. აჯანყების ბევრი აქტიური მონაწილე საველე სასამართლოს დადგენილებით ადგილზე დახვრიტეს. ბ. ხვედელიძე გადავიდა სამხრეთ ოსეთში, სადაც კვლავ გაგრძარდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას. 1919 წელს იგი დააპატიმრეს და ჩასვეს ქუთაისის ციხეში. გასთავისუფლების შემდეგ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა სოფ. წონაში“...

ამ აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ბაგრატის ძმები იასონი, ვასილი და ივანე, რომლებმაც სასტიკი რეპრესიები განიცადეს. ბრძოლების მონაწილე ვ. ხვედელიძე იგონებს:

„ოთხივე ძმა აჯანყებულთა შორის ვიყავით. დამსჯელ რაზმს გადაეწყვიტა შურისძიება და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ჩვენს სახლს. მაგრამ ყუმბარები ჩვენს სახლამდე ვერ აღწევდა და სოფელ იაქანში ეცემოდა“...

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თვით ვასილი ლაგოდეხის რაიონში იგზავნება რევოლუციური მუშაობისათვის, მაგრამ დაავატიმრეს და რვა თვე დაჰყო სიღნაღის სამაზრო ციხეში, საიდანაც ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს. იგი მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში, უერთდება მეთერთმეტე არმიას, რომელიც დაეხმარა საქართველოს მშრომელებს განთავისუფლებაში...

შვილებზე ფიქრში ვინ მოსთვლის რამდენი ღამე თეთრად გაუთენებია ხვედელიძეების დედას ნინოს. იგი ამხნევებდა და ეხმარებოდა აჯანყებულთ, სურსათითა და წამლებით ამარაგებდა დაჭრილ რაზმელებს, უშუშებდა მათ იარებს...

საჩხერის აჯანყება ფართოდ აისახა იმდროინდელ პრესაში. გაზეთები აღნიშნავდნენ:

„საჩხერის რაიონში ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ხელმძღვანელობით დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებულმა გლეხობამ დაიკავა ბურ მეტრ წყალს ეარაავს და 300 ჰექტარ მიწას [illegible] ... ინსტიტუტის საკუთრებიდან [illegible] ... ინსტიტუტს [illegible] ... ინსტიტუტს [illegible] ... ინსტიტუტს

ყოველი მხრიდან

ს. ა. ვინოგრადოვის საუბარი დე გოლთან

პარიზი, 24 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი გუშინ ეწვია პრეზიდენტ დე გოლს. საუბრის დროს ელჩმა გააცნო მას საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ს. ა. ვინოგრადოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მთავრობის აზრით მდგომარეობა ამ რაიონში სერიოზული და საშიშია. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმები ვიეტმანის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ამიტომ საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭიროა ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას საფრთხე და მოწესრიგდეს მდგომარეობა ამ რაიონში.

შეხვედრები დელიში

დელი, 23 თებერვალი. (საკდესი). აქ ვიზიტად იმყოფება შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა პარლამენტარების დელეგაცია. დელეგაცია დღეს მიიღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა შასტრიმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინგჰმა, ინდოეთის ვიცეპრეზიდენტმა ზაქირ ჰუსეინმა და რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა.

საუბრის დროს განიხილეს ორი ქვეყნის მეგობრული კონტაქტების შემდგომი გაფართოების საკითხები. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთისა და სსრ კავშირის პარლამენტარების ურთიერთობის განმტკიცებას.

მოგვიანებით საბჭოთა დელეგაციის წევრები შეხვდნენ ინდოეთის პარლამენტის დეპუტატებს.

სესია ნაიროგიში

ნაირობი, 23 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის VII სესიამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფრიკის 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები. სესიის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი აფრიკის კონტინენტის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების მთელ რიგ საკითხებზე.

სესიის მეთვალყურედ ესწრებოდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სსრ კავშირის ელჩი კენიაში ვ. ს. ლავროვი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის შემდეგი, VIII სესია გაიმართება 1967 წელს ლაგოსში.

შეიქმნა სუდანის მთავრობა

ხართუმი, 23 თებერვალი. (საკდესი). სუდანის პრემიერ-მინისტრმა ჰათემ ელ-ხალიფამ დღეს სიტყვა წარმოთქვა ხართუმის რადიოთი და გამოაცხადა შემადგენლობა ახალი მთავრობისა, რომელიც მან შექმნა.

პარტია „ალ-უმამ“, ეროვნულ-იუნიონისტურმა პარტიამ, სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ და სუდანის სამხრეთ პროვინციათა წარმომადგენლებმა ახალ მთავრობაში მიიღეს სამ-სამი ადგილი, კომუნისტურმა პარტიამ და პარტია „მუსლიმანმა ძმებმა“ — თითო ადგილი.

ხართუმი, 24 თებერვალი (საკდესი). სუდანის ახალ მთავრობაში, რომელიც გუშინ შექმნა წინანდელმა პრემიერ-მინისტრმა ჰათემ ელ-ხალიფამ, შედის თოთხმეტი მინისტრი, ბევრი მათგანი ყოფილი კაბინეტის წევრია. ახალ მთავრობაში ჰათემ ელ-ხალიფამ დაიტოვა თავდაცვის მინისტრის პორტფელი.

დაახასიათეს რა მინისტრთა კაბინეტის ახლანდელი შემადგენლობა, სუდანის კომუნისტური პარტიისა და სახალხო-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, ჩვენი პარტიების წარმომადგენლებს არ სურთ მთავრობაში დარჩნენო.

სახალხო-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ალი აბდელ რაჰმანმა განაცხადა ავრეთვე, რომ უმაღლეს სასამართლოს მიმართა პროტესტით იმის გამო, რომ სუდანის უმაღლესმა საბჭომ დაარღვია კონსტიტუცია: დაეთანხმა წინანდელი მთავრობის გადადგომას და ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა ჰათემ ელ-ხალიფას.

ჯ. ე. იშიკის განცხადება

სტამბოლი, 24 თებერვალი. (საკდესი). თურქეთის ახალი კოალიციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. ე. იშიკმა, რომელიც გუშინ ჩამოვიდა მოსკოვიდან თურქეთში, განუცხადა ეროვნულ-ლისტებს სტამბოლის აეროდრომზე, რომ საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა კვლავაც განვითარდება. „ჩვენი საგარეო პოლიტიკა, — თქვა მან, — იზოლაციონიზმის პოლიტიკა როდია. ეს არის ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა. იგი შეესაბამება თურქეთის ინტერესებს“.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე ჯ. ე. იშიკი იყო თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში.

კუვ დე მიურვილის განცხადება

პარიზი, 24 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი პარიზში დაბრუნდა შეერთებული შტატებიდან, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა პრეზიდენტ ჯონსონთან და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან რასკთან.

აეროდრომზე კუვ დე მიურვილმა განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ კმაყოფილია მოლაპარაკებით. ჩვენ განვიხილეთ ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემები, თქვა მან. შეხვედრების მთავარი საკითხი, მინისტრის განცხადების თანახმად, იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ვიეტნამის მდგომარეობა.

კუვ დე მიურვილმა უპასუხა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე ვიეტნამის კრიზისის შესაძლო გადაწყვეტის შესახებ და თქვა, რომ უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან საფრანგეთს უშუალო პასუხისმგებლობა არ ეკისრება ამ რაიონში შექმნილი მდგომარეობისთვის. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვქნათ, ის არის, რომ გავუზიაროთ ამერიკელ მეგობრებს ჩვენი აზრი

მოსკოვი—რომი

რომში დაიდო შეთანხმება მოსკოვსა და იტალიის დედაქალაქს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ.

მედიცინის დეგი — მკვლელები

გონი, 23 თებერვალი. (საკდესი). მიუნხენის სასამართლოში დაიწყო პროცესი 14 ყოფილი მედიცინის დის საქმის გამო, რომლებიც ნაციზმის დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „გონნბრიგად არასრულფასოვნად“ გამოცხადებულ ადამიანთა დახოცვაში. არსებული მონაცემებით, ძილის მომგვრელი წამლის სასიკვდილო დოზების მიცემისა და სხვა საშუალებათა გზით დაიხოცა 8.000-ზე მეტი კაცი. თვითეული მედიცინის და, რომელიც განსასჯელთა სკამზე ზის, უშუალოდ მონაწილეობდა 200-ზე მეტი კაცის მკვლელობაში.

პროცესი დაახლოებით სამ კვირას გაგრძელდება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

დირიჟორ ვ. ლ. ფალიაშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ძართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის დირიჟორ ვახტანგ ლევანის-ძე ფალიაშვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ ბ. ი. კოკაელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ძართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი გრიგოლ ირაკლის-ძე **კოკელაძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კომპოზიტორ ა. პ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ძართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი ალექსანდრე პეტრეს-ძე **მირიანაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 24 თებერვალი.

ხალხის რჩეულნი

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გრძელდება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელება.

თბილისის მე-3 საარჩევნო ხალხმრავალ კრებაზე საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს საარჩევნო მთავარი ექიმი **ეკატერინა ბორჩალაძე**. ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა — მოწინავე მეფანსტრუმენტე **ელეონორა კვეტლიშვილი**. პირველი მაისის რაიასაბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული არიან რძის კომბინატის მუშა-ოპერატორი **ლამარა გელოვანი** და ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშა **ავთანდილ მაგარაშვილი**.

წულუკიძის რაიონის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი ალექსანდრე პეტრეს-ძე **მირიანაშვილი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1965 წლის 24 თებერვალი.

ლობის კოლმეურნეობის მშრომელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს მოწინავე მეჩაი **ნელი ბახტაძე**, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის წევრებმა — მოწინავე კოლმეურნეები **მარიამ ცხოვრებაძე, მარიამ ბალდადაშვილი**, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გიორგი ზირაქიშვილი**, ყანდაურის კოლმეურნეებმა — სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი **სიმონ გიქორაშვილი**. წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა მერგოლური **ქეთევან ალუღიშვილი**.

გორის რაიონში საარჩევნო კამპანია დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. მშრომელები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ასახელებენ ინიციატივიან, მონოდამებულ ადამიანებს. კარლიგის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მექანიზატორებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მოწინავე მუშები **ნუნუ ხარიბეგაშვილი** და **ვლადიმერ გოიაშვილი**. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ავრეთვე ატენის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი **მერი მიხანაშვილი**, ქვახრელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **არტემ მღელურიშვილი** და სხვები.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ბ. ი. ბეჟანიშვილის, ბ. ბ. ბოლქვაძის, ბ. ბ. ბოლქვაძის, ბ. ბ. ბოლქვაძ



ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, 23 თებერვალი. (საქდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ბაკურიანის მეორე კოლოკვიუმმა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის საკითხებზე, რომელიც მოიწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა. კოლოკვიუმში მონაწილეობდნენ თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები — სულ 80 მეცნიერი.

რამდენიმე დღის მანძილზე გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსები განიხილავდნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ლითონებისა და შენადნობების ზეგამტარობასთან და ზეგამტარობის პრაქტიკული გამოყენების ფართო პერსპექტივასთან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზეგამტარულ მდგომარეობიდან ნორმალურში გადასვლის მექანიზმს.

კოლოკვიუმის უკანასკნელი დღეები მიეძღვნა თხევადი ჰელიუმის ზედნადობას. ამ საკითხზე ძირითადი მოხსენებები წაიკითხეს ფიზიკოსთა თბილისის სკოლის წარმომადგენლებმა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი. მათი შრომები ამ დარგში ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქართველი ფიზიკოსების — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატების ჯ. წაქაძის, ი. მამალაძისა და სხვების მოხსენებები ეხებოდა თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევას, როცა ჩვეულებრივი სითხე ჰელიუმ-I გარდაიქმნება ზედნად სითხედ — ჰელიუმ-II იმ პირობებში, როცა ეს გარდაქმნა ბრუნვის მდგომარეობაში ხდება. გამოირკვა, რომ ამ გარდაქმნის ხასიათი, რომელსაც ფაზური გადასვლა ეწოდება, ბრუნვის პირობებში ძირეულად განსხვავდება იმავე მოვლენის ხასიათისაგან, როცა იგი ხდება უძრავ თხევად ჰელიუმში. გადამწყვეტმა ექსპერიმენტმა, რომელის იდეა ე. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის, ხოლო შესრულება ჯ. წაქაძეს, შექმნა შესაძლებლობა გამოერკვიათ ამ მოვლენის ფიზიკური არსი.

ქართულმა სკოლამ, რომელიც სამართლიანად მიაჩნიათ ჰიდროდინამიური კანონების ექსპერიმენტული შესწავლის წამომწყებად, ახალი წვლილი შეტანა მეცნიერებაში. ქართველმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს და განმარტეს ახალი მოვლენები, რომლებიც წარმოიშვება კვანტური ჰიდროდინამიკის კანონებიდან ჩვეულებრივი სითხეების ჰიდროდინამიკის განტოლებებზე გადასვლის დროს.



სურათზე: თბილისი. ახალი რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი აკაკი წერეთლის სახელობის პროსპექტზე დიღმის მასივში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲒᲐᲖᲘ ᲛᲗᲐᲨᲘ

ᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ მიმავალ ფართო გზაზე ახლა ხშირად შეხვდებით წითელი ბალონებით დატვირთულ ავტომანქანებს. მათ ქუთაისიდან ონში გადააქვთ თხევადი გაზი.

ამ ცოტა ხნის წინათ გაზის ქურები დაიდგა რაიონის სამოცამდე მცხოვრებმა.

ქუთაისის გაზის კანტორის ამბროლაურის ფილიალი, რომელიც მომსახურებას უწევს ონის რაიონს, სულ უფრო მეტ დაკვეთას იღებს კოლმეურნეებისაგან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘ

2,8 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ კუბური მეტრი — ასეთია მარმარილოს ახალი საბადოს მარაგი, რომელიც ქართველმა გეოლოგებმა ყვარლის მიდამოებში აღმოაჩინეს. მარმარილო მუშავაცრისფერია და შავი. ჭვა ადვილად ჰრიალდება, მედეგია ტემპერატურის მერყეობისადმი.

სურამის მახლობლად მეორე გეოლოგიურმა პარტიამ იოანა მთის ჯიშის — ბაბრუს საბადო. იგი მუქნაცრისფერი და მოკაკანა და აქვს ვარდისფერი ფინწალები. ამ საბადოს მარაგი 8 მილიონი კუბური მეტრია. (საქდესი).

ᲓᲐᲑᲐᲨᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲩᲣᲮᲩᲣᲮᲔᲑᲡ

ᲐᲮᲐᲢᲔᲗᲐ. (საკ. კორ.). 3,5 ლიტრი წყალი წყმში. — ასეთი იყო დაბა ახმეტის წყლის დებიტი. მოსახლეობას შორი მანძილიდან უხდებოდა წყლის ზიდვა. ამ დღეებში დამთავრდა ალაზნის ნაკურიდიდან სუფთა, ცივი წყალის გაყვანა. დაბა წამში ოც ლიტრ წყალს იღებს.

ორი წლის შემდეგ ახმეტა მიიღებს წყალს „ხინტრიციდან“, რომელიც რაიონის ცენტრს დაშორებულია რვა კილომეტრით. მაშინ მოსახლეობა წყლით მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება.

ᲗᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი ხალხს გერ იტევდა. აქ მოეწყო საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტ ახალგაზრდობასთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანმა ნ. ანდღულელიშვილმა. სტუმრებს მიესალმნენ ჭიათურელი სტუდენტები ჯ. გურული, პ. კაპანაძე, ც. ღუღუნიშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს კპ ჭიათურის ქალაქკომის მეორე მდივანი გ. ცხადაიშვილი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი შ. გველესიანი, მარგანტრესტის მმართველის მოადგილე სსრ დამსახურებული ინჟინერ-გამომგონებელი გ. ფანცულაია.

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ, ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲒᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

თუმსახიობის შემოქმედება მისი არტისტული ინდივიდუალობის ბეჭედს ატარებს, სამაგიეროდ ოპერის გმირის ნაცნობ სახეს, რომელსაც იგი ქმნის და რომელიც ასოციაციებსა და შედარებებს იწვევს. მაყურებელი თითქოს ჩეოახლა აღიქვამს, რუმინელმა მომღერალმა, ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა აგატა დრუზესკუმ თბილისელებს თავისი დახვეწილი ოსტატობა უჩვენა აიდას ნაცნობი სახის შესრულებით ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში.

მომღერლის დიდი ლამაზი ხმა — ლირიკულ-დრამატული სოპრანო — განსაკუთრებით მკაფიოდ ჟღერს ხმის ზედა რეგისტრში და რამდენადმე უფრო სუსტად — საშუალოში. აიდას სახის ვოკალურ ფაქტურას, კომპოზიტორის მიერ იშვიათი მელოდიური სიმდიდრით შექმნილს, მსახიობი მხატვრული გემოვნებითა და ოსტატობით ასრულებს. აიდას — ა. დრუზესკუს — ეთიოპიის მეფის ამაყ ქალიშვილს უზომოდ სტანჯავს უძღურება, რასაც მონობაში განიცდის. მისი განცდების კონტრასტულობა ასახავს ᲨᲝᲣᲚᲝᲡᲗᲐ როგორც ვოკალურ ფერებში, ისე მომღერლის ხმის დინამიკურ ნიუანსებში.

გმირის სცენური პორტრეტის შექმნისას ა. დრუზესკუმ გასაგებად ასახა ოპერის სცენური სიტუაციის სირთულე. აიდას დიდი მონოლოგი „გამარჯვების კვლავ დაგვიბრუნდი“ მუსიკალურად რომ შეასრულა, მსახიობი ლამაზი პიანოთი გადავიდა მორთოლვარე ლოცვაზე „ო, ღმერთნო ჩემნო“.

ჭეშმარიტად დრამატული პათოსს მიაღწია აიდას და ამნერისის დუეტმა, სადაც ორი გმირი ქალი ტემპერამენტიანად და მკაფიოდ, სხვადასხვა სოციალური პოზიციებიდან, ვნებათა მკაცრ ორთაბრძოლაში იცავს რადამესის სიყვარულის უფლებას. მომღერლის ხმა ლაღად ჟღერს დიდ ანსამბლურ სცენაში მემფისის მოედანზე, სადაც დახვეწილად და მუსიკალურად გაისმა აიდას საუცხო სოლო ფრაზა. ღრმა ნაღვლით, სამშობლოს სევდით გამსჭვალულია აიდას სახე ა. დრუზესკუს შესრულებით და გულშიჩამწვდომია მისი სიმღერა ნილოსთან სცენაში.

სასიამოვნო შეხმატკბილებით გაისმა განწირულობის ტრაგიზმით აღსავსე სამიჯნურო დუეტი აიდასი და რადამესისა. შესანიშნავმა ანსერისმა — თ. მალიშვილმ, ბრწყინვალე რადამესმა — ნ. ანდღულაძემ, კოლორატურულმა ამონასრომ — რ. კაკაბაძემ დიდად შეუწყვეს ხელი ამ სპექტაკლის წარმატებას, რომელსაც ტემპერამენტიანად, ჭეშმარიტი ხელოვნის დახვეწილი გემოვნებით დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი.

ქალის ამაღელვებელი სიყვარულისა და ერთგულების იგივე იდეაა მოცემული იმავე კომპოზიტორის ოპერა „ტრუბადურში“. ამ ოპერის გმირი — ლეონორა — რუმინელი მომღერლის მიერ ჩვენს სცენაზე შექმნილი მეორე ნიშვნა. ხოლო ეპიზოდური არაჩვეულებრივად მდიდარი ამ პარტიის შესრულება მომღერლისაგან მოითხოვს არა მარტო იმას, რომ სრულად ფლობდეს ხმას, არამედ თითქმის კოლორატურულ მოძრაობასაც.

კულმინაციურ სცენაში „საპყრობილესთან“, ლეონორას მონოლოგში და არიაში გულთბილად და ამაღელვებლად ჟღერს მომღერლის ლამაზი ხმა. მსახიობის ინტერპრეტაციით ღრმა დრამატიზმია ჩაქსოვილი ლეონორას და მანრიკოს გამოთხოვებაში, რომელიც „მიზერერეს“, ფონზე ჟღერს. იშვიათი გულთბილობით ასრულებს მომღერალი ფინალურ სცენას, გულში ჩამწვდომია სიკვდილის წინა დუეტიც მანრიკოსთან. ა. დრუზესკუს მაღალმა ვოკალურმა ოსტატობამ, მისმა ლამაზმა ხმამ და საშემსრულებლო მანერამ სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა.

მანრიკოს ᲨᲐᲠᲗᲐ შესანიშნავად შეასრულა ნოდარ ანდღულაძემ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ლეონა გოცირიძისა— აზუჩენას და შოთა კიკნაძის — გრაფ დი ლუნას წარმატებითი გამოსვლა.

მ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ტრუბადურიდან“. ლეონორა — ა. დრუზესკუ, მანრიკო — ნ. ანდღულაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 22 თებერვალი. (საკ. კორ.). დღეს სომხეთის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო ქართული ფილმების ფესტივალი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 44-ე წლისთავს ეძღვნება.

წარმატებით ჩაიარა „სტუდია „ქართული ფილმის“ სურათების გასინჯვამ. ნაჩვენები იყო „ჯარისკაცის მამა“, „ვინ შეაჯაბავს ცხენს“, „ხევსბერი გოჩა“ და ახალი დოკუმენტური სურათები.

სომხეთში ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკის კინომოღვაწეთა ჯგუფი.

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ

ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლემ რამინ ლიპარტელიანმა თავის ეზოში ორმოს თხრის დროს იპოვნა ორი კოლხური ცული, რომელიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა.

აღსანიშნავია, რომ ეს ცულები ფორმით მნიშვნელოვნად განსხვავდება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული კოლხური ბრინჯაოს ცულებისაგან. ნაპოვნი ნივთები სპილენძისაგან უნდა იყოს ნაკეთები და მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის ადრეულ პერიოდს.

ცულების პოვნის ადგილის მახლობლად აღმოჩნდა აგრეთვე უძველესი წყალსადენის თხის მილები.

ჯ. ᲡᲐᲚᲘᲜᲐᲫᲔ.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ“ ᲢᲔᲛᲞᲡ ᲣᲛᲐᲢᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლეში გუშინ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური.

თბილისის „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ მეტოქე რიგის ᲕᲔᲤ-ი იყო. ჩემპიონატის წინ ამ გუნდს სპეციალისტები პირველობის ფავორიტად თვლიდნენ. როგორც ცნობილია ᲕᲔᲤ-ში რიგის არმიელთა კოლექტივიდან გადავიდა საკავშირო ნაკრების რამდენიმე მოთამაშე. მიუხედავად ასეთი გაძლიერებისა, რიგელები წლევანდელ ჩემპიონატში შედარებით წარუმატებლად გამოდიან. ასევე ითქმის თბილისელთა შესახებ, რომლებიც თავიანთი პოტენციალით არ ჩამოუვარდებიან გათამაშების ლიდერებს.

... მოწინააღმდეგეები მოედანზე გამოვიდნენ საბრძოლო შემადგენლობით: ᲕᲔᲤ-ი — მუთაფიანი, კრუმინში, მერკსონსი, გულბისი, იურგენსონსი; „დინამო“ — მინაშვილი, ლეჟავა, უგრეხელიძე, სხიერელი, საკანდელიძე. „ძველმა ნაცნობებმა“ თამაში ᲕᲔᲤ-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ გარეშე დაიწყეს. მე-3 წუთზე წინ არიან თბილისელები — 8:2. მათ მეტოქეს შესთავაზეს მაღალი ტემპი. რიგელები კი პირიქით, თამაშს მათთვის სასურველ ნელ ტემპში წარმართავენ.

მე-12 წუთზე თბილისელებს ანგარიში მიჰყავთ 15 ქულით. ამაში დამსახურება პირველ რიგში მიუძღვის თბილისელთა ცენტრს ლეუჟავს, რომელმაც თამაშიდან ფაქტიურად გამოთიშა კრუმინში (სხვათა შორის ამ ორი მოთამაშის „კერძო“ დუელი თბილისელის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მან მეტოქე ყველაფერში დაჯაბნა და ამავე დროს თავის გუნდს 24 ქულა შესძინა).

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 39:29. შესვენების შემდეგ სტუმრები თითქოს გააქტიურდნენ. მათგან გამოირჩეოდა იურგენსონსი. მაგრამ დარჩენილ დროში თბილისელებმა აღმავლობით ითამაშეს და საბოლოო გამარჯვებაც მოიპოვეს — 84:74.

არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა მოუგო (71:62) მინსკის „სპარტაკს“, მოსკოვის „დინამომ“ — კიევის სკა-ს 67:65.

ნ. ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲘ დღის შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა ჰოკეიში ბურთით განაახლეს ბრძოლა.

გუშინ სვერდლოვსკსა და არხანგელსკში გაიმართა ორი მატჩი. სვერდლოვსკში დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა ჰოკეისტების შეხვედრამ ნორვეგიელებთან. ჩვენმა გუნდმა კვლავ აღმავლობით ჩაატარა თამაში და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0. გასული ჩემპიონატის პრიზიორმა ფინეთის გუნდმა არხანგელსკში დაამარცხა შვედი ჰოკეისტები 2:1.

ამრიგად, ჩემპიონატის მონაწილეებმა გამართეს ორ-ორი შეხვედრა. ლიდერია სსრ კავშირის ნაკრები, რომელსაც ოთხი შესაძლებლიდან ოთხი ქულა აქვს.

Ш. ᲨᲐᲕᲒᲣᲚᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲖᲔ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ცნობილი ფეხბურთელის შ. შავგულიძის ხსოვნის პრიზის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის გუნდები.

გუშინ გიგამართა მორიგი მატჩი. სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ფოთის „კოლხიდის“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთად-ერთმა ბურთმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონატის ფინალურ მატჩებამდე ფეხბურთში, რომელიც ინგლისში მოეწყობა, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დრო დარჩა, მაგრამ ბილეთებზე განაცხადი უკვე მიღებულია 30.000 ადგილზე. ყველაზე მეტი მსურველები არიან ბრაზილიიდან (5.500), კანადიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან. მიღებულია აგრეთვე განაცხადები 1.500 უურნალისტიდან, რომლებიც მოემსახურებიან ჩემპიონატს.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲞᲠᲘᲖᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲓᲠᲐᲙᲘ ტურნირი, რომელიც ქ. ზაგრებში (იუგოსლავია) უნდა დაიწყოს, ჭადრაკის გულშემატკივართა ყურადღების ცენტრშია. იგი დაიწყება 9 მაისს და მიეძღვნება გერმანელ ფაშისტთაგან ქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის საქადრაკო ფედერაციამ ზაგრებში უნდა მიავლინოს ოთხი გროსმაისტერი: მსოფლიოს ჩემპიონი **ტ. პეტროსიანი**, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **მ. ტალი**, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი **ვ. კორჩნოი** და საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი **მ. ტაიმანოვი**. მიწვეულ მოჭადრაკეთაგან უკვე განაცხადეს თანხმობა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტებმა **ბ. ლარსენმა** (დანია), **დ. პორტიშმა** (უნგრეთი) და **ბ. ივკოვმა** (იუგოსლავია), ცნობილმა გროსმაისტერებმა **ვ. ულმანმა** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **ლ. საბომ** (უნგრეთი) **ს. გლიგორიჩმა**, **ა. მატანოვიჩმა**, **ბ. პარმამ** (სამივე იუგოსლავიიდან) და სხვებმა.

ამ დღეებში საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალური უარი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონ გროსმაისტერ **რ. ფიშერისაგან**. მიზეზი ძველია — ფიშერს არ აკმაყოფილებს პირველი ჯილდო — ერთი მილიონი დინარი. მის მაგივრად მოწვეება გაეგზავნა გროსმაისტერ **ა. ბისჰაიერს** (ამერიკის შეერთებული შტატები).

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲨᲐᲑᲘᲐᲜ ჰოკეისტთა უძლიერესი კოლექტივები განაგრძობენ მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ჩვენი ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე — ჩეხოსლოვაკიის გუნდი პრაღაში შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰოკეისტებს და გაიმარჯვა ანგარიშით 10 : 1. კვლავ წარუმატებლად გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები. იგი ოსლოში მეორეჯერ დამარცხდა ნორვეგიელ ჰოკეისტებთან შეხვედრაში 1:7.

სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციამ 1964 წლის სეზონის მიხედვით დაამტკიცა ათი საუკეთესო არბიტრის სია. ესენი არიან: ა. კოკორევი (მოსკოვი), ვ. კოსტინი (მოსკოვი), ს. ადვანსიევი (ლენინგრადი), ა. კიბი (ტალინი), ვ. კასატიკოვი (მოსკოვი), დ. დავთიანი (ერევანი), ს. სტონკუსი (კაუნასი), ა. დავიდსონი (მოსკოვი), ნ. შარგანოვი (მოსკოვი), გ. მუხამედიანოვი (ყაზანი).

ᲑᲐᲡᲚᲘᲡ წლის პრიზიორმა ცსკა-ს ფეხბურთელთა კოლექტივმა გასხსნა საეროთაშორისო მატჩების სეზონი. ბულგარეთის პატარა ქალაქ პაზარჯიკში არმიელთა დუბლიორები შეხვდნენ ადგილობრივ სკალუმო გუნდ „ბოტევს“, რომელიც ბულგარეთის ჩემპიონატის მეორე ჯგუფში გამოდის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს დენისოვმა, პროსიკოვმა და კაშტანოვმა.

„კომუნისტი“ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

Რ. ᲤᲘᲨᲔᲠᲘᲡ ᲣᲐᲠᲘ

(იუგოსლავია), ცნობილმა გროსმაისტერებმა **ვ. ულმანმა** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **ლ. საბომ** (უნგრეთი) **ს. გლიგორიჩმა**, **ა. მატანოვიჩმა**, **ბ. პარმამ** (სამივე იუგოსლავიიდან) და სხვებმა.

ამ დღეებში საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალური უარი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონ გროსმაისტერ **რ. ფიშერისაგან**. მიზეზი ძველია — ფიშერს არ აკმაყოფილებს პირველი ჯილდო — ერთი მილიონი დინარი. მის მაგივრად მოწვეება გაეგზავნა გროსმაისტერ **ა. ბისჰაიერს** (ამერიკის შეერთებული შტატები).

ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲐ

ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ფიქრი იყო ომში წასული მამებისა და ძმების დარდი.

მე რომ მკითხო, პიკასოს მტრედი ისე არ გამოხატავს მშვიდობას, როგორც ბუხრიდან ამოსული ბოლი, ან ფანჯარაში შემოსული მზე.

ომში წასულ მამებს ძირითადად ორი რამ ადარდებდათ: ტყვია-წამალი და... შინ დარჩენილი ბავშვები! ვინც შვილები დედის კალთას ამოფარებული დატოვა, ამას კიდევ რა უშავს, მაგრამ ვისაც არც დედა დარჩა შინ და არც მამა?

უდედმამოთათვის საბავშვო სახლის კარი ღია იყო. აქ მასწავლებელთა და აღმზრდელთა ფრთას შეფარებულნი იზრდებოდნენ და ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ემზადებოდნენ პატარები.

...თბილისში, ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, დგას ერთი სახლი. უანდარმერიის გენერალს ეკუთვნოდა იგი ოდესღაც. მას ახლა „საბავშვო სახლი“ ჰქვია. ამ ხაკმაოდ ბუნდოვან სახელს თუ კარგად გავშიფრავთ, მას იმ ბავშვთა სახლს უწოდებენ, რომლებსაც მშობლები არა ჰყავთ, ისინი აქ ცხოვრობენ და აქ სწავლობენ.

ამ ორმოცი წლის წინათ 15 იანვარს გაიხსნა ეს სახლი. მისი პირველი დირექტორი იყო პედაგოგი არკადი ხუნდაძე.

ვინც დღევანდელ უურნალ-გაზეთებს ათვალიერებს, არ შეეძლო არ შეემჩნია ეს გვარი და სახელი. ჩვენი პერიოდული პრესა დღესაც ხშირად აქვეყნებს მის საინტერესო წერილებს ახალგაზრდობის აღზრდის, პედაგოგიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი სიცოცხლე შეალიეს რაიმე საქმეს, იშრომეს, იშრომეს, ახაკს მიაღწიეს და პენსიონერები გახდნენ. მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, მართალია, უკვე პენსიას იღებენ, მაგრამ მაინც არასოდეს არ გახდებიან მხოლოდ პენსიონერები. ისინი შრომობენ იმიტომ, რომ მათი ცხოვრება არ არსებობს უშრომლად. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის არკადი ხუნდაძე, რომელსაც ახლაც შერჩენია ძველებური სიმხნევე და გამჭრიახობა. მან კარგად იცის ბავშვის სული და ფსიქიკა. 30 წელი უცვლელად იყო ამ სახლის დირექტორი. მისი ცხოვრება სავსეა საინტერესო ამბებითა და შემთხვევებით...

ბავშვი დაუწერელი დაფააო, ტყუილად კი არ ამბობენ. ამ კაცმა ვინ იცის რამდენ ასეთ დაუწერელ დაფაზე ამოკვეთა „სიკეთე“, „შრომა“, „პატიოსნება“...

ეს კაცი აღმზრდელიაო, ხშირად უბრალოდ ვიტყვით ხოლმე ადამიანზე, იმას კი იშვიათად ვამბობთ, თუ რა უსასრულო ფიქრში, წუხილსა და დარდშია მისი გონება. კარგი პედაგოგი მშობელია, რომელსაც განუწყვეტლივ ჰყავს პატარა შვილები. მათი რიცხვი კი განუსაზღვრელად იზრდება.

ვინ არ იცის, რომ უდედმამო ბავშვებს განსაკუთრებული ფაქიზი მიდგომა და გულისყური უნდა, — გვითხრა არკადი ხუნდაძემ. საათვალე მოიხსნა, ხელში შეაბრიალა, და ისე დინჯად, თანმიმდევრობით დაიწყო თხრობა, როგორც მხოლოდ მასწავლებლებმა იციან, — ერთხელ ჩვენთან, სახლში, ერთი პატარა ბიჭი მოიყვანეს, გვი ერქვა, ერთი შეხედვით არაფრით განირჩეოდა „ახალბედებისაგან“, არც მაინცდამაინც მაჩხუბარა იყო, არც ძალიან წყნარი... თანდათან შეეჩვია გარემოს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ უეცრად მთელი სახლი აფორიაქდა. შეიქნა ერთი აურზაური. გივი სახლის სახურავზე ასულა და ყვირის: აქ გაჩერებას სიკვდილი მირჩევნია, აქედან უნდა გადავვარდე... აქ ყველა ქურდებია, გამძარცვეს, არაფერი დამიტოვეს... სულ ერთია, აქ არ გავჩერდებიო...

გავცვივდით ეზოში, შემოვესიეთ სახლს, დავუწყეთ ნერვებაშლილ ბავშვს ხვეწნა-მუდარა, ჩამოდი სახურავიდან, ყველაფერს მოგიძებნითო, და როგორც იქნა ბიჭი სახურავიდან ჩამოვიყვანეთ. შევიყვანეთ ცალკე ოთახში, ვეფერებით. ბიჭი ხან გაჩერდება, ხან ცივი ხმით დაიწყებს ტირილს, ილანძღება, იგინება, ზიზღით უყურებს ყველას... როგორც იყო ვათქმევინეთ მიზეზი. ამ წიგნში დედაჩემის სურათი მქონდა და ბავშვებმა მომპარესო. მაშინვე შევუდექით წიგნების დათვალიერებას, დავფურცლეთ ყველა წიგნი და გივის დედის სურათი ვიპოვნეთ. ბიჭს სურათი რომ დავუბრუნეთ, ნირი წაუხდა, კიდეც გაეხარდა და კიდეც შერცხვა... ახლა თუ არ მომპარეს, მერე მაინც მომპარავენ... ჩაიბურტყუნა და გავიდა. მერე, ხშირად ვხედავდი, გივის სულ იღლიაში ჰქონდა წიგნი ამოდებული. მე ვიცოდი, რომ ამ წიგნში დედის სურათი იყო. გივი დიდხანს იყო ჩვენთან, კაცი გახდა. ამას წინათ ვნახე. შვილებით ცირკიდან მოდიოდა, და რაღაც შეუცნობი სიხარული შევიგრძენი. მე რომ მკითხო, სწორედ ეს სიხარულია ბედნიერება...

არკადი ხუნდაძის პირადი არქივი რომ გასინჯოთ, ათასობით წერილს ნახავთ. ეს „ჩემი შვილების“ წერილებია, ასე ამბობს იგი. არ გეგონოთ ხუმრობდეს. ეს მისი აღზრდილთა წერილებია. ლევან აბულაძე, ვალი საფონოვი, მიხეილ სხვიტარიძე... რა ჩამოთვლის მათს სახელებს. ამ წერილებში ლაპარაკია მათს შობლიურ სახლზე, აღმზრდელებზე, ამხანაგებზე, თავიანთი ცხოვრების გეგმებზე, პერსპექტივებზე.

გადის დღეები, წლები, ამ წერილებს ფურცლები უყვათლდება, სამაგიეროდ „ფასი ემატება“.

ამ წერილებმა შეინახეს არკადი ხუნდაძის კაცური კაცობა. მისი წარსული, სიბეჯითე... იგი ახლაც ხშირად გადაიკითხავს ამ წერილებს, და ბრუნდებიან ძველი დღეები, ანცი ბიჭები, უძილო ღამეები, ძველი დარდი და სიხარული... იგი ახლაც ხშირად გაიცლის იმ „სიკეთის სახლში“, რომელშიც ათასობით ბავშვმა გაიარა. ამ სახლიდან გამოდიან პატარები ცხოვრების დიდ გზაზე, და თუ ბევრმა სწორად გაიკაფა გზა, ეს ამ კაცის წყალობაც არის, რომელიც ახლა ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡᲐᲫᲔ ᲩᲘᲩᲣᲐ დაიცავს დისერტაციის თემაზე: „ზნეობრივი აღზრდის საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔ